სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №296
2025 წლის 15 დეკემბერი

ქ. თბილისი

„დიდი გაბარიტების და ტურბორეაქტიული ძრავების მქონე, საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ივლისის №152 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დიდი გაბარიტების და ტურბორეაქტიული ძრავების მქონე, საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ივლისის №152 ბრძანებით დამტკიცებულ (www.matsne.gov.ge, 12/07/2022 წ., სარეგისტრაციო კოდი: 310150000.54.066.016262) წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 28-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „28^1 მუხლი“:

„მუხლი 28^1. პილოტის დაკვირვება მეტეოროლოგიურ და ოპერატიულ ვითარებაზე

1. როდესაც წარმოიქმნება ისეთი მეტეოროლოგიური პირობები, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა სხ-ების უსაფრთხოებაზე, ამის შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება სწრაფად.

შენიშვნა: *ფრენის დროს სხ-ზე მეტეოროლოგიური დაკვირვების განხორციელების, ჩაწერისა და მოხსენების პროცედურები მოცემულია ჩიკაგოს კონვენციის მე-3 დანართში, PANS-ATM-ში (Doc 4444), PANS-MET-ში (Doc 10157) და შესაბამის რეგიონულ დამატებით პროცედურებში (Doc 7030).*

2. სხ-ის მეთაურმა უნდა გადასცეს ინფორმაცია, თუ ადზ-ის მოჭიდების კოეფიციენტი გადმოცემულზე ნაკლებია.

შენიშვნა: *ადზ-ის მოჭიდების კოეფიციენტთან დაკავშირებული სპეციალური შეტყობინების პროცედურები მოცემულია PANS-ATM-ის (Doc 4444) მე-4 თავში და პირველ დანართში.“.*

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გივი დავითაშვილი**